# საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1027 2016 წლის 8 ივნისი ქ. თბილისი

„საქართველოს პარლამენტის არჩევნების დანიშვნის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების მოწონების თაობაზე

1. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის $7^3$ მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, მოწონებულ იქნეს „საქართველოს პარლამენტის არჩევნების დანიშვნის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2016 წლის 3 ივნისის N03/06/02 განკარგულება.

2. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 108-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის $7^3$ მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, განხორციელდეს ამ განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების კონტრასიგნაცია.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი